

ანოტაცია  
ლიკა მეზონია  
N-(4-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-  
გლუკოპირანოზილამინის კონდენსაციის რეაქცია გლიცინის  
ეთილესტერის ჰიდროქლორიდთან  
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი.ჭავჭავაძის გამზ.3

ბოლო წლების განმავლობაში ქიმიის, ბიოქიმიისა და მედიცინის სფეროში N-გლიკოზიდებმა დიდი ინტერესი და პრაქტიკული მნიშვნელობა მოიპოვა. N-გლიკოზიდები და მათი წარმოებულები გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემის მედიატორებად, სტიმულატორებად, ასევე სოფლის მეურნეობაში მავნებლების წინააღმდეგ. ზოგიერთი სინთეზური N-გლიკოზიდები ავლენს პოტენციურ ანტიმეტაბოლურ, ანტივირუსულ და სიმსივნის საწინააღმდეგო აქტიურობას. N-გლიკოზიდების ახალი ტიპის წარმოებულების სინთეზი და ბიოლოგიური აქტიურობის შესწავლა დღემდე წარმოადგენს ნახშირწყლების ქიმიის პერსპექტიულ კვლევით მიმართულებას.

ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა N-(4-კარბოქსიფენილ)-β-D-გლუკოპირანოზილ-ამინის წარმოებულების სინთეზი.

N-(4-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზილამინის სინთეზი განხორციელებულ იქნა D-გლუკოზის 4-ამინობენზოის მჟავასთან კონდენსაციით 96%-იანი მეთანოლის არეში, კატალიზატორის ყინულოვანი მმარმჟავას თანაობისას 80°C ტემპერატურაზე გაცხელებით და მიღებული N-გლიკოზილამინის შემდგომი აცეტილირებით. N-(4-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზილ-ამინის L-გლიცინის ეთილესტერის ჰიდროქლორიდთან კონდენსაციით N,N'-დიციკლოჰექსილკარბოდიმიდის და ტრიეთილამინის თანაობისას 0°C ტემპერატურაზე, პირველად იქნა მიღებული N-[4-N'-(2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზილ)]ამინობენზოილ- L-გლიცინის ეთილესტერი.

სინთეზირებულ ნაერთთა აღნაგობა დადგენილ იქნა კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით.